საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. მაისის 25. № 10 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო მმართველობა

126. დაწესებულებათა დამატებითი შტატების დადგენის წესის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

127. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის შესახებ.

128. საქართველოს სსრ-ში გამომგონებლობის ორგანოების შესახებ.

მშენებლობა

129. 1933 წელს ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გაფართოებისა და გაიაფების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

130. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილობის პროექტირებისა და მოწყობის წესის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

131. სასოფლო აგრო-ზოორწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სასოფლო აგრო-ზოორწმუნებულთა შესახებ.

132. სასოფლო მეურნეობის სფეროში ოპერატიული ანგარიშების შთანერგვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

133. „დასარგავი მასალის სავალდებულო დეზინსექციის თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

134. ფსირცხისა, ორთაბათუმისა, მახინჯაურისა, ჩაქვისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებში ლიმონის და მანდარინის ნარგავების ისეთ სადედეებად გამოცხადების შესახებ, რომელთა ექსპლოატაციაც უნდა სწარმოებდეს სამყნობი (კვირტიანი) ყლორტების (კალმების) დასამზადებლად.

ვეტერინარია

135. „ოთხფეხი საქონლისა და ხორცეულის ვაჭრობის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის თაობაზე" გამოცემული 1932 წ. ივლისის 4-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

136. კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

137. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარებისა და 1933 წელს მატყლის დამზადების გეგმის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

138. ახალი მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში სამწვანო საქმის მშენებლობის აუცილებლად შეტანის შესახებ.

139. სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის შენობებისა, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის თაობაზე გამოცემული 1931 წ. აპრილის 29-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

140. ქალ. ქუთაისში არამშრომელი ელემენტის შემჭიდროების შესახებ.

ფინანსები

141. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

142. ადგილობრივი ბიუჯეტების მომწესრიგებელი რესპუბლიკანური ფონდის შექმნისა და 1933 წელს ამ ფონდის შემავსებელი წყაროების შესახებ.

განათლება

143. საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა

144. „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" საზოგადოების ორგანიზაციების მოქმედების ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

სისხლის სამართალი

145. სისხლის სამართლის კოდექსის 200 და 202[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

146. „სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის თაობაზე გამოცემული 1931 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

126. დადგენილება ს.კ.ს.

დაწესებულებათა დამატებითი შტატების დადგენის წესის შესახებ.

„დაწესებულებათა დამატებითი შტატების დადგენის წესის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 7-ის დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-19 №-ი, მუხ. 109) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განსაზღვრულ იქნეს, რომ დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა იმ შტატების გადიდება, რომლებიც დადგენილია 1933 წლისთვის აპარატის შემცირების წესით, შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საკანონმდებლო ორგანოების დადგენილება, რითაც სათანადო დაწესებულებას და ორგანიზაციას ეკისრება ახალი ამოცანები, რაც მისი შტატების განსაზღვრის დროს ნაგულისხმევი არ იყო, უკეთუ, ამასთანავე, ამ დადგენილებაში სპეციალურად აღნიშნულია დამატებითი შტატის დაწესება.

ყველა სხვა შემთხვევაში დამატებითი მიმდინარე დავალებების აღსრულება დაწესებულების და ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განი გადაჯგუფებით და მუშაობის სათანადო გარდაქმნით დამტკიცებული შტატების ფარგლებში.

2. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ყოფიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. აპრილის 14.
ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

127. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დროებითი დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს მე-2 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 4-ის დადგენილებისა „საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-2 №-ი, მუხ. 14).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. მარტის 23.
ტფილისი.

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტი ეწყობა გამომგონებლობისათვის ხელის შესაწყობად, საგამომგონებლო საქმეთა ორგანოებისათვის საერთო ხელმძღვანელობისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გასაწევად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

2. საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტი ანხორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით.

3. საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტს ეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამომგონებლობის საკითხების შესახები მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების აღსრულებას;

ბ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ მთავრობის კანონპროექტები გამომგონებლობის საკითხების შესახებ;

გ) დაამტკიცოს ტიპური დებულებანი საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების შესახებ საქართველოს სსრ-ისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის არაგაერთიანებული უწყებების ხაზით (როგორც საუწყებოთა ისე საწარმოთა და ორგანიზაციათა ორგანოებისათვის);

დ) გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ-ისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის უწყებებთან, სადარგო შენაერთებთან და სამმართველოებთან და კოოპერატიულ ცენტრებთან არსებულ საგამომგონებლო საქმეთა ორგანოებს;

ე) გაუწიოს ზედამხედველობა სახალხო მეურნეობაში გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა თავის დროზე შთანერგვას;

ვ) გაუწიოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის მინდობილობით, სისტემატური კონტროლი დიდი მნიშვნელობის მქონე ცალკეულ გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელებას და აგრეთვე შეასრულოს აღნიშნული კომიტეტის სხვა დავალებანი;

ზ) გამოაშკარაოს ექსპერტიზის მეშვეობით სახალხო მეურნეობისათვის საჭირველი გამონაგონნი და მიაწოდოს ეს გამონაგონნი სათანადო ორგანიზაციებს სახალხო მეურნეობაში შთანერგვის მიზნით;

თ) აწარმოოს მთლად სსრ კავშირისათვის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა განსაკუთრებული აღნუსხვა;

ი) მოახდინოს ყველა წინადადების აპრობაცია—რამდენად შეეფერება წინადადება შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის მოთხოვნათ, და წარმართოს სიახლეთა ბიუროში („ბიურო ნოვიზნი") საავტორო მოწმობისა თუ პატენტის მიცემისთვის;

კ) გადაწყვიტოს საკითხი—წინანდელი კანონის თანახმად პატენტის მიმღებ გამომგონებლებისათვის ყველა ან ზოგიერთი იმ შეღავათის მინიჭების შესახებ, რაც გათვალისწინებულია გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა შესახები, 1931 წლის აპრილის 9-ის, დებულებით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 181), უკეთუ მათი გამონაგონი გამოიყენება საქართველოს სსრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო ორგანოებისა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მიერ;

ლ) დაამყაროს გამონაგონთა საიდუმლოება;

მ) გამოაცხადოს კონკურსები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უაღრესი მნიშვნელობის ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით და მიიღოს მონაწილეობა ასეთსავე კონკურსებში სსრ კავშირის ფარგლებში;

ნ) მოიწვიოს საგამომგონებლო სფეროში მომუშავეთა რესპუბლიკანური ყრილობები და კონფერენციები და მიიღოს მონაწილეობა ასეთსავე ყრილობებში სსრ კავშირის ფარგლებში;

ო) მოაწყოს გამომგონებლობის სფეროში მიღწეული გამოცდილების სოციალისტური გაცვლა-გამოცვლა;

პ) გაუწიოს ხელმძღვანელობა ყველა სასწავლო-საკურსებო ღონისძიებას საგამომგონებლო საქმეთა კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის, აღნუსხოს და გაანაწილოს ეს კადრები დამტკიცებული ნომენკლატურის თანახმად;

ჟ) აღნუსხოს და შეარჩიოს ის გამომგონებელნი, რომელთაც თავი იჩინეს სასარგებლო გამონაგონებით, და წარავლინოს ისინი როგორც სსრ კავშირის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ და წარადგინოს სათანადოდ დაჯილდოებისათვის;

რ) გაარჩიოს საჩივარნი და დავანი გამომგონებლობის შესახები კანონების დარღვევის საკითხების გამო;

ს) გამოსცეს ნაციონალურ ენებზე ოფიციალური და სხვა ლიტერატურა გამომგონებლობის შესახებ;

ტ) გამოსცეს ოფიციალური ორგანო „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამამგონებლო საქმეთა კომიტეტის ბულეტენი".

4. კომიტეტს შეადგენენ კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები, რომელთაც ჰნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, და სხვა თანამშრომელნი შტატში განსაზღვრული რიცხვით.

5. კომიტეტის შედგენილობაში გამოიყოფა პრეზიდიუმი თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და კომიტეტის პლენუმის მიერ არჩეული წევრების და კანდიდატების შედგენილობით; პრეზიდიუმის წევრების და კანდიდატების არჩევას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

6. კომიტეტის პლენუმის მორიგი სხდომები მოხდება ორ თვეში ერთხელ მაინც; არა მორიგი სხდომები დაინიშნება პრეზიდიუმის შეხედულებისამებრ.

7. კომიტეტის დადგენილებანი გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა შესახები საკითხების თაობაზე საბოლოოა, და ამ დადგენილებების გაუქმება შეუძლიან მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტს ზედამხედველობის წესით.

8. კომიტეტთან არსებობენ: საჩივართა განმხილველი საბჭო და უმაღლესი სატექნიკო საბჭო.

9. კომიტეტი იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვით.

10. კომიტეტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

---

128. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ში გამომგონებლობის ორგანოების შესახებ.

იმისდა მიუხედავად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასურ გამომგონებლობას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ფორმას სახელმწიფოს სახსართა დაგროვების და ეკონომიისა, ნედლეულობის და სათბობი მასალის ხარჯვის შემცირებისა, მუშა-ძალის წესიერად გამოყენებისა და სახალხო-სამეურნეო გეგმის რიცხვობრივ და თვისებრივ მაჩვენებელთა ამაღლებისა (ტექნიკის შეთვისება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება, წარმოების სოციალისტური რაციონალიზაცია), საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანიზაციები მაინც საკმარის ყურადღებას არ აქცევენ საგამომგონებლო მუშაობის ორგანიზაციის საქმეს.

აღნიშნავს-რა იმ ფაქტებს: ა) რომ მთელ რიგ სამეურნეო კომისარიატებსა და ცენტრალურ სამეურნეო ორგანიზაციებში, აგრეთვე ამა თუ იმ ცალკეულ საწარმოში (ქარხანა, ფაბრიკა, საბჭოთა მეურნეობა), სადაც 500 მეტი მუშაა, არ არსებობენ ან დაკომპლექტებულ არ არიან საუწყებო, სადარგო და საწარმოს საგამომგონებლო ორგანოები (გამონაგონთა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროები და გამონაგონთა რეალიზაციის ბიუროები), ბ) რომ მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებში სამმართველო ხარჯები შემცირებულია საგამომგონებლო ორგანოების საშტატო თანამდებობათა გაუქმების საშუალებით, ან მათი ფუნქციების სხვა განყოფილებებთან შეერთებით, ან და სათანადო ფუნქციების მომუშავეებისათვის შეთავსებით დაკისრებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებს, ცენტრალურ სამეურნეო ორგანიზაციებს და რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრებს—ერთი დეკადის ვადაზე მოაწყონ საუწყებო (სადარგო) საგამომგონებლო ორგანოები (გამონაგონთა რეალიზაციის ცენტრალური ორგანოები), ხოლო არსებულნი გარდაქმნან ამა დადგენილების მე-4 მუხლში გათვალისწინებული ნომენკლატურის საფუძველზე.

საუწყებო და სადარგო საგამომგონებლო ორგანოების მოწყობა უნდა სწარმოებდეს აპარატის სათანადო შინაგანი გარდაქმნით და არ უნდა იწვევდეს

დაწესებულების საშტატო ერთეულების საერთო რიცხვისა და დამტკიცებული სამუშაო ხელფასის ფონდების გადიდებას.

2. წინადადება მიეცეს ყველა საწარმოს (ქარხანა, ფაბრიკა, ... ურნეობა და სხვა მისთ.)—მოაწყოს ერთი დეკადის ვადაზე საგამომგონებლო ორგანო (გამონაგონთა რეალიზაციის ბიუროები), რისთვისაც უნდა იყოლიოს აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად ერთი განთავისუფლებული მომუშავე საწარმოს თვითეულ 500 მუშაზე.

იმ საწარმოში, სადაც მუშათა რიცხვი 500-ზე ნაკლებია, გამონაგონთა რეალიზაციის ბიუროსათვის დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ მომუშავენი შეთავსებით.

აღნიშნული ღონისძიება განხორციელებულ უნდა იქნეს აპარატის სათანადო გარდაქმნით და არ უნდა ადიდებდეს წარმოების ზედნადებ ხარჯებს.

3. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ და დააკომპლექტონ მომუშავეებით ამ რესპუბლიკებსა და ოლქში საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის ფილიალები არა უგვიანეს 1933 წ. აპრილის 15-ისა.

4. დაწესებულ იქნეს საუწყებო და სადარგო საგამომგონებლო ორგანოებისათვის (გამონაგონთა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროები) შემდეგი ნომენკლატურა მომუშავეებისა, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის პერსონალურ აღრიცხვაზე:

ა) გამონაგონთა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროების თავმჯდომარენი და ინსტრუქტორები—მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სახ. კ-თა საბჭოსთან) სამმართველოში, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, მომარაგებისა, კომუნალური მეურნეობისა, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებში, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სახ. კ-თა საბჭოსთან) სამმართველოში, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოში, „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტში, ტრაქტოროცენტრის საქართველოს განყოფილებაში, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ტრესტში, „საქმშენტრესტში“, „საქსახმშენში“, „საქტყეტრესტში“, „საქმარაგგასაღებაში“, „საქვაჭრობაში“, ტფილისის საქალაქო საბჭოში, საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოში (სარეწეო საბჭო), საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში (ცეკავშირში), ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტში, „საქთავდაცვაავიაქიმში“;

ბ) გამონაგონთა რეალიზაციის ბიუროების თავმჯდომარენი—საწარმოში.

ზემოაღნიშნული სანომენკლატურო მომუშავეების გარდა, ზევით დასახელებულ უწყებებისა და ორგანიზაციების („ა“ პუნ.) გამონაგონთა რეალიზაციის ცენტრალურ ბიუროებში უნდა იყოს თითო: აღმრიცხველი.

5. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს—გადასინჯონ დაუყოვნებლივ სამეურნეო ორგანიზაციების სტრუქტურა და უზრუნველყონ ამა დადგენილების სრული განხორციელება.

6. აეკრძალოს უწყებებს და სამეურნეო ორგანიზაციებს რაიმე ცვლილების მოხდენა საგამომგონებლო ორგანოების (გამონაგონთა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროები და გამონაგონთა რეალიზაციის ბიუროები) სტრუქტურაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტის სანქციის გარეშე.

7. უშუალო მეთვალყურეობის გაწევა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტს.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მარტის 23.
ტფილისი.

მ ფ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

129. დადგენილება ს. კ. ს.

1933 წელს ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გაფართოებისა და გაიაფების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გაფართოებისა და გაიაფების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-8 №-ი, მუხ. 46), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წ. ადგილობრივი საშენი მასალის მინიმალური საორიენტირო პროგრამა ამ მასალის ძირითად მწარმოებლებისათვის შემდეგი რაოდენობით:

მწარმოებელნი	აგური ათასი ცალობით	კრამიტი ათასი ცალობით	საყორე ქვა კუბ. მეტრ.	გაჯი ტონობით	კირი ტონობით	საშენი ქვა კუბ. მეტრ.	ალებასტრი ტონობით
მძიმე მრეწველობის სახ. კ-ტის სისტემის საწარმონი	17000	—	—	—	17600	20000	532
ადგილობრივი მრეწველობის საწარმონი: ტფილისში	30000	2300	85000	7000	3000	—	—
აფხაზეთის ავტ. სსრ-ში	8400	—	—	—	7100	24500	700
სხვა რაიონებში	19477	1500	112000	—	39000	—	—
სარეწაო კოპერაციის საწარმ. . . .	11000	6000	200000	18000	40000	—	—
ს უ ლ	85877	9800	397600	25000	106700	44500	1232

2. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქ. სსრ სახ. კ-თა საბჭოსთან—დაამტკიცოს ზემოაღნიშნული მინიმალური პროგრამის საფუძვლებზე:

ა) გაზუსტებული წლიური საწარმოო გეგმები—თავის ქვემდებარე ცალკეულ საწარმოთათვის, რომელნიც ადგილობრივ საშენ მასალას აწარმოებენ;

ბ) გაზუსტებული წლიური საწარმოო დავალებანი—ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობისათვის, რაც ექვემდებარება აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—თვითეული ამ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულისათვის ცალკე;

გ) გაზუსტებული წლიური საწარმოო დავალებანი—სარეწაო კოოპერაციის საწარმოთათვის და განსაზოგადოებულ სექტორის სხვა ორგანიზაციათათვის თვითეული სისტემისათვის ცალკე.

ზემოაღნიშნულ გაზუსტებულ წლიურ საწარმოო გეგმათა და დავალებათა დამტკიცების დროს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ანგარიშში უნდა მიიღოს ადგილობრივი საშენი მასალის საწარმოთა ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდების აუცილებლობა (განსაკუთრებით საკედლე მასალისა) არსებული ტექნიკური ბაზისის მთლად გამოყენებით, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციით და საწარმოთა საკუთარი სახსრიდან დამატებითი კაპიტალების დაბანდებით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე,—მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ერთად და 1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე

მშენებლობის მწარმოებელი ყველა უწყებისა და ორგანიზაციისა და საერთო საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს მონაწილეობით,—საშენი მასალის ბალანსი 1933 წლისთვის აღნიშნული უწყებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოთა გასუფთავებული განცხადებების და ადგილობრივი საშენი მასალის მწარმოებელ საწარმოთა დამტკიცებული საწარმოო გეგმების საფუძველზე; თანაც შეიმუშაოს ღონისძიებანი აღნიშნული მასალის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, ამ მასალის წარმოების გაფართოებით, რისთვისაც მშენებლობის მწარმოებელმა უწყებებმა და ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1933 წ. თებერვლის 5-ის, დადგენილების მე-12 მუხლის წესისამებრ, დამატებითი კაპიტალდაბანდებანი თავიანთ დამხმარე საწარმოთათვის ან პროდუქციით მოსამარაგებლად მათზე ხელშეკრულობების საფუძველზე მიმაგრებულ საწარმოთათვის.

4. დაწესებულ იქნეს შემდეგი ზღვრული საგასაცემო ფასები—ფრანკო-ქარხანა (ხოლო არამადნეული წიაღისეულისათვის—ფრანკო-კარიერი) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი საშენი მასალის მწარმოებელ საწარმოთათვის:

აგური	80 მან.	1000 ცალი.
კრამიტი (მარსელისა)	180 მან.	1000 „
კრამიტი (ჰოლანდიისა, ქართული და სხვ.)	124 მან.	1000 „
კირი	50 მან.	1 ტონა.
გაჯი	30 მან.	1 „
ხრეში და ქვიშა	5 მან.	1 კუბ. მეტრი.
საყორე ქვა	6 მან. 50 კ.	„ „
რიყის ქვა	3 მან.	„ „

სარეწაო და საბინაო კოოპერაციის საწარმოთათვის და აგრეთვე იმ საწარმოთათვის, რომელნიც მუშაობენ ქურ-ღუმელებით (напольные печи), აგურისა და მარსელის კრამიტის ზემოაღნიშნულ საგასაცემო ფასებს უნდა დაემატოს ზედნართი 20%-ის რაოდენობით.

ნება დაერთოს სარეწაო და საბინაო კოოპერაციის საწარმოთ—გასცენ კირი და გაჯი ზემოაღნიშნული ზღვრული საგასაცემო ფასებისათვის ზედნართის დამატებით 10%-მდე.

კატეგორიულად აეკრძალოს მშენებელ ორგანიზაციებს ხელშეკრულობების დადება საშენი მასალის გაყიდვა-მიწოდებაზე იმაზე უფრო მეტ ფასად, რაც ზევით არის აღნიშნული.

წინადადება მიეცეს მშენებელ ორგანიზაციებს და „საქმარაგგასაღება"-ს და აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალის მწარმოებელ საწარმოთ და ორგანიზაციათ—შეიტანონ ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილებიდან გამომდი-

ნარე ცვლილებანი მათ მიერ უკვე დადებულ ადგილობრივი საშენი მასალის გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულობებში.

აეკრძალოს გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებს იმ ანგარიშ-ფაქტურების განაღდება, რაც შედგენილ იქნება ადგილობრივი საშენი მასალის ზემოაღნიშნული ზღვრული საგასაცემო ფასების გადამეტებით.

5. „ადგილობრივი საშენი მასალის რეალიზაციისა და 1933 წელს ამ მასალით განსაზოგადოებული სექტორის მომარაგების წესის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის იანვრის 31-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 72; „კომუნისტი“ 1933 წ. 27 №-ი) შეცვლის მიზნით, დაეტოვოს სარეწაო კოოპერაციის იმ საწარმოთ, რომელნიც ადგილობრივ საშენ მასალას აწარმოებენ, მათი პროდუქციის 55% ბაზარზე სარეალიზაციოდ ფართო მოხმარების საგნების სახით და მათი საკუთარი სამშენებლო საჭიროებისათვის; ამასთანავე, დაევალოს მათ—პროდუქციის მთელი დანარჩენი ნაწილი ჩააბარონ „საქმარაგგასაღება-“ს არა უძვირეს იმ ზღვრული ფასებისა, რაც ზევით არის აღნიშნული.

6. დაწესებულ იქნეს ადგილობრივი საშენი მასალის გადაზიდვისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზღვრული ტარიფი (დატვირთვა-გადმოტვირთვით)—ჭაპანზიდვის ტრანსპორტისათვის 6 მან. და 60 კაპ. რაოდენობით ერთ ტონა-კილომეტრზე.

აღნიშნული ზღვრული ტარიფი ვრცელდება იმ გადაზიდვაზე, რასაც აწარმოებს ჭაპანზიდვის ტრანსპორტი ფურაჟის მიუცემლად მტკიცე ფასების კვალობაზე; ხოლო ნაწილობრივ თუ მთლად მტკიცე ფასების კვალობაზე ფურაჟით მომარაგების შემთხვევაში გადაზიდვის ტარიფი სათანადოდ შემცირებულ უნდა იქნეს.

ზემოაღნიშნული ზღვრული ტარიფის საფუძველზე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები აწესებენ ჭაპანზიდვის სასეზონო ფასებს ადგილობრივი პირობების მიხედვით (ადგილის რელიეფი, გზების ტექნიკური მდგომარეობა, ავდრისაგან გზების ატალახიანება, ბალახეულ საკვებთა მდგომარეობა და სხვ.). ზემოაღნიშნული საგადაზიდვო ტარიფი ხარსაწევი ტრანსპორტისათვის შემცირებულ უნდა იქნეს 10%-ით ცხენსაწევი ტრანსპორტისათვის დადგენილ ტარიფთან შედარებით.

კატეგორიულად აეკრძალოს განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებს ადგილობრივი საშენი მასალის ჭაპანზიდვის ტრანსპორტით გადაზიდვისათვის იმაზე მეტი ფასების გაღება, რაც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული წესით დადგენილი ტარიფით.

დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და პროკურატურის ორგანოებს—აძლიონ პასუხისგებაში სასამართლო წესით ამა დადგენილების დარღვევაში დამნაშავე თანამდებობის პირნი საქართველოს სსრ სისხლის სამართ-

ლის კოდექსის იმ თავის სათანადო მუხლების თანახმად, რომლითაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი დანაშაულნი.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამიონებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს: ა) შეიმუშაოს, ადგილობრივი საშენი მასალის გადაზიდვისათვის ზემოთ დადგენილი საჭაპანზიდვო ზღვრული ტარიფის საფუძველზე, ზღვრული ტარიფები ჭაპანზიდვის ტრანსპორტით დანარჩენი სხვა ტვირთის გადაზიდვისათვის; ბ) შეიმუშაოს საშენი მასალის ავტოტრანსპორტით გადაზიდვის ტარიფები.

7. წინადადება მიეცეს საარაონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამეურნეო სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამეურნეო დაწესებულებებს:

ა) მოაწყონ კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულობების დადება საკოლმეურნეო საჭაპანზიდვო ტრანსპორტის მიჩენაზე საშენი მასალის გადაზიდვისათვის ზემოაღნიშნულ ზღვრულ ფასად;

ბ) იხმარონ ღონისძიებანი ზემოაღნიშნული საჭაპანზიდვო ფასების მტკიცედ განხორციელებისათვის საშენი მასალის გადასაზიდავად საგლეხო ტრანსპორტის გამოყენების დროს.

8. პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის მთელი მუშაობისათვის დაეკისროს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქ. სსრ სახ. კ-თა საბჭოსთან.

ამის შესაბამისად მის ფუნქციებს მიეკუთვნოს:

ა) რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობისა, სარეწაო კოოპერაციისა და განსაზოგადოებული სექტორის სხვა ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე სხვა სახალხო კომისარიატებისა და უწყებების დამხმარე საწარმოთა მიერ ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გეგმის შედგენა და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოსთვის წარდგენა;

ბ) მის ქვემდებარე მრეწველობაში ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების მოწყობა;

გ) სარეწაო და საბინაო კოოპერაციისა და განსაზოგადოებული სექტორის სხვა ორგანიზაციების მიერ საშენი მასალის წარმოების საწარმოო პროგრამების აღსრულებისათვის კონტროლის გაწევა;

დ) სხვა უწყებების მშენებლობებზე და ორგანიზაციებთან დამხმარე საწარმოთა საწარმოო პროგრამების აღსრულებისათვის კონტროლის გაწევა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მარტის 21.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 76 №-ში 1933 წ. აპრილის 2.

130. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილობის პროექტირებისა და მონტაჟის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა და მათ დამხმარე საშენებელთა მშენებლობის და რეკონსტრუქციის დროს განსახორციელებელ სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და სასანიტარო-სატექნიკო გაწყობილობის პროექტირება და მონტაჟი (გათბობის ცენტრალური სისტემა, ვენტილაცია, წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ქიმიური და ტექნიკური ლაბარატორიების გაწყობილობა, სააბანო-სამრეცხველო გამართულობა) თავმოყრილ იქნეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის რესპუბლიკანურ ტრესტ „საქსახმშენთან" არსებულ სასანიტარო-სატექნიკო საპროექტო-სამონტაჟო კონტორაში („საქსანტექმშენი").

წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა და მომარაგების სახალხო კომისარიატებს და სხვა ცენტრალურ რესპუბლიკანურ ორგანოებს, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აწესრიგებენ სამრეწველო მშენებლობას, დაავალონ თავიანთ ქვემდებარე საწარმოთ და ორგანიზაციათ:

ა) გადასცენ ხოლმე სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილობის პროექტირება და მონტაჟი კონტორა „საქსანტექმშენს", ამასთანავე აეკრძალოს მათ მშენებლობის ამ ობიექტების პროექტირებისა და მონტაჟის გადაცემა სხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-4 მუხლში;

ბ) გადასცენ ერთი თვის ვადაზე, საქმის მსვლელობაშივე, ყველა დაუმთავრებელი სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილობის სამონტაჟო სამუშაო კონტორა „საქსანტექმშენს" და მოშალონ ყველა სხვა ორგანიზაციასთან დადებული სათანადო ხელშეკრულობები, იმ საერთო-საკავშირო სამშენებლო საწარმოთა გამოკლებით, რომელნიც ანხორციელებენ სასანიტარო-სატექნიკო მშენებლობას.

2. ქალაქებისა, დასახლებული პუნქტებისა და მუშათა დიდი დაბების წყლის მიწოდების, კანალიზაციის და სხვა კომუნალური და სასანიტარო-სატექნიკო გამართულობის პროექტირება, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ განსახორციელებელი არასამრეწველო მშენებლობის (საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საუწყებო) დანარჩენი ობიექტების სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილობის პროექტირება თავმოყრილ იქნეს ამ სახალხო კომისარიატის სისტემაში არსებულ მპროექტებელ ტრესტ „საქკომუნპროექტში", ხოლო სხვა უწყებებისა და ორგანი-

ზაციების მიერ განსახორციელებელი არასამრეწველო მშენებლობის ობიექტების სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილობის პროექტირება—ამ უწყებებისა და ორგანიზაციების შეხედულებისამებრ—კონტორა „საქსანტექმშენში“ ან ტრესტ „საქკომუნპროექტში“.

3. როგორც სამრეწველო, ისე არასამრეწველო მშენებლობაში განსახორციელებელი სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და სასანიტარო-სატექნიკო გაწყობილების მონტაჟი, ქალაქებისა, დასახლებული ადგილებისა და მუშათა დიდი დაბების წყალსადენებისა და კანალიზაციის გამართვის გამოკლებით, თავმოყრილ იქნეს კონტორა „საქსანტექმშენში“.

4. ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო განსაკუთრებით დიდია და რთული, სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილობის მონტაჟი შეიძლება გადაეცეს, სათანადო სახალხო კომისარიატის და ცენტრალური რესპუბლიკანური ორგანოს ნებართვით, იმ საერთო-საკავშირო ორგანიზაციებს, რომელნაც ანხორციელებენ სასანიტარო-სატექნიკო ნაგებობათა და გამართულობათა პროექტირებას და წარმოებას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ოჟიკაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. აპრილის 9.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

131. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო აგრო-ზოორწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ ქვემომდევნო დებულება აგრო-ზოორწმუნებულთა შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 6-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 151) და

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 4-ის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილებით დამტკიცებული დებულება ზოორწმუნებულთა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 180).

.სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ოოჟიკაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1933 წ. აპრილის 14.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო აგრო-ზოორწმუნებულთა შესახებ.

1. მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად საჭირო ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისა, ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისა, დამუშავებისა და მოსავლის აღების დავალებათა (გეგმა-განწესების) წესიერად და თავის დროზე შესასრულებლად არსებული საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესებისა და აგრო-ზოო-ღონისძიებათა შესახებ არსებული საველდებულო დადგენილების აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის მიზნით ყველა სასოფლო საბჭოსთან იმყოფებიან აგრო-ზოორწმუნებულნი.

2. აგრო-ზოორწმუნებულნი აირჩევიან თვითეულ სოფელში მოქალაქეთა საერთო კრებაზე ისეთ პირთაგან, რომელთაც აქვთ საარჩევნო უფლება და რომელნიც ცნობილ არიან აქტიურ საზოგადოებრივ მომუშავეებად, რომელთაც იციან სოფლის მეურნეობა და მოპოებული აქვთ ავტორიტეტი და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნდობა, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში და, კერძოდ, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიობის გადიდებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

3. აგრო-ზოორწმუნებულნი აირჩევიან ერთი წლის ვადით; ამასთანავე ამომრჩეველთ უფლება აქვთ, მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით, უკან გაიწვიონ ისინი უმოქმედობისა და მთავრობის დირექტივებისა, დადგენილებებისა და ამა დებულებების დარღვევისათვის.

4. აგრო-ზოორწმუნებულნი აირჩევიან ისეთი ვარაუდით, რომ ერთი რწმუმუნებული მოდიოდეს 20 30 კომლზე.

კოლექტიურ მეურნეობებში აგრო-ზოორწმუნებულნი არ აირჩევიან.

5. აგრო-ზოორწმუნებულნი მუშაობენ სასოფლო საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით და ადგილობრივი აგრონომისა, ზოო-ტექნიკოსისა და ვეტერინარ-ექიმის მეთვალყურეობით და თავისი საქმიანობის ანგარიშს უდგენენ სასოფლო

საბჭოს პირველ მოთხოვნისათანავე და თავიანთ ამომრჩევლებს არა ნაკლებ, ვიდრე ოთხჯერ წლის განმავლობაში.

6. აგრო-ზოორწმუნებულნი მუშაობენ საზოგადოებრივი დატვირთვის წესით და თავიანთი შრომისათვის გასამრჯელოს არ იღებენ.

7. აგრო-ზოორწმუნებულთ ეკისრებათ:

ა) გაეცნონ სავალდებულო დადგენილებებს იმ აგრო-კულტურულ ღონისძიებათა შესახებ, რაც მიმართულია მოსავლიანობის გადიდებისა, ნათესი ფართობების გადიდებისა, მეურნეობის წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესების და სათანადო დონეზე დაყენებისათვის, და აწარმოონ გლეხთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

ბ) თვალყური ადევნონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისა, დამუშავებისა და ჩაბარების დავალებათა (გეგმა-განწესების) აღსრულებას და აგრეთვე შეადგინონ ჯუმლები იმ მეურნეობების მიერ გეგმა-განწესების მიხედვით დავალებათა აღსრულების მიმდინარეობის შესახებ, რომელთაც ისინი მომსახურეობას უწევენ;

გ) შეამოწმონ, რამდენად ასრულებენ ცალკეული მეურნეობანი სავალდებულო აგრო-ზოოწესებს და სხვა აგროკულტურულ-საწარმოო ვალდებულებებს, აგრეთვე საერთო კრებისა, საწარმოო თათბირებისა და სხვ. დადგენილებებს, რამდენადაც ეს დადგენილებები ეხება მოსავლიანობის გადიდებას, სასოფლო მეურნეობის წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებას და მეცხოველეობის გაუმჯობესებას;

დ) თვალყური ადევნონ, რათა ცალკეულმა მეურნეობებმა განახორციელონ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ყველა დადგენილება, რაც მიმართულია სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის;

ე) აწარმოონ იმ ძეურნეობათა შორის, რომელთაც ისინი მომსახურეობას უწევენ, მუშაობა მათი გაერთიანებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღის საზიაროდ შეძენისა და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების (ხვნა, დამუშავება, აღება და სხვ.) ერთად ჩატარების საქმეში;

ვ) თვალყური ადევნონ თესლის დაბრონირებას, სადასაზღვეო ფონდების დაგროვებას და შენახვას.

8. უკეთუ ცალკეული მეურნეობანი სათანადოდ არ შეასრულებენ სავალდებულო აგრო-ზოოწესებს ან სხვა დადგენილებებს და აგრო-საწარმოო მოთხოვნებს, აგრო-ზოორწმუნებულნი მისცემენ ამ მეურნეობათ სათანადო მინიშნებებს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა ან სარაიონო აგრონომებისა, ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარ-ექიმებისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე.

9. უკეთუ ცალკეული მეურნეობანი არ შეასრულებენ სავალდებულო აგრო-ზოოწესებს ან მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესების მიზნით გამოცემულ დადგენილებებს, აგრო-ზოორწმუნებულნი აცნობებენ ამას

სასოფლო საბჭოს და აგრეთვე სარაიონო აგრონომს, ზოო-ტექნიკოსს ან ვეტერინარ-ექიმს კანონით გათვალისწინებულ სათანადო საზედმოქმედო ღონისძიებათა მისაღებად.

10. აგრო-ზოორწმუნებულნი შედიან სასოფლო საბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირში ამ თათბირის წევრის უფლებებით.

11. აგრო-ზოორწმუნებული უახლოესი თანაშემწეა აგრონომისა, ზოო-ტექნიკოსისა და ვეტერინარ-ექიმისა, რომელთაგან იგი მიიღებს მისი მუშაობისათვის საჭირო ყოველგვარ მინიშნებას და განმარტებას.

სარაიონო და საუბნო აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს და ვეტერინარ-ექიმებს ევალებათ გაუწიონ აგრო-ზოორწმუნებულებს ხელმძღვანელობა და ინსტრუქტირება და აგრეთვე დახმარება საყოველდღეო პრაქტიკულ მუშაობაში.

12. აგრო-ზოორწმუნებულნი მიიღებენ გაზეთ „კოლექტივიზაციას“ და მათი მუშაობისათვის საჭირო ბროშურებს და სხვა ლიტერატურას სასოფლო საბჭოს ხარჯით.

13. აგრო-ზოორწმუნებულნი განთავისუფლებულ არიან შრომის საგზაო ბეგარისა და სხვა სასყიდლიანი და უსასყიდლო შრომისა და ჰაპანზიდვის ბეგარისაგან.

---

132. დადგენილება ს.კ.ს.

სასოფლო მეურნეობის სფეროში ოპერატიული ანგარიშგების შთანერგვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც ოპერატიული ანგარიშგების განმტკიცებას სოფლის მეურნეობის დარგში და, კერძოდ, გაზაფხულის თესვის კამპანიის ხაზით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, და რადგანაც სარაიონო ორგანიზაციები სათანადოდ ვერ აფასებენ ამ ანგარიშგების სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობას, რის გამოც ოპერატიული ანგარიშგების შთანერგვა სუსტად მიმდინარეობს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სააღრიცხვო პერსონალის შესავსებად და განსამტკიცებლად ისე, რომ მასური თესვის დაწყებისას საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში იყოს სავსებით შემოწმებული და საკმარისად მომზადებული სააღრიცხვო კადრები;

ბ) გამოჰყოს იმ საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში, რომელნიც სააღრიცხვო მომუ-

შავეებით უზრუნველყოფილი არ არიან, აღრიცხვის წარმოებისათვის პასუხისმგებელი პირები და ჩაატაროს სათანადო ინსტრუქტაჟი გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის აღრიცხვის საკითხების გარშემო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეამოწმოს კვალიფიციური სააღრიცხვო მომუშავენი და განამტკიცოს ამ მომუშავეებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები ცენტრში და ადგილობრივ, კერძოდ, შეავსოს სასწრაფო წესით სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა შტატები სოფლის მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორებით და სხვა სააღრიცხვო კადრებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

დ) ჩაატაროს რაიონებში სასწრაფო წესით მოკლევადიანი ინსტრუქტაჟი სოფლის მეურნეობის აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებისა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის აღრიცხვის ყველა საკითხის ხაზით;

ე) ძირეული რგოლის სააღრიცხვო მომუშავეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ამ მომუშავეთა მოსამზადებლად, სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ანგარიშგების სათანადოდ წარმოების მიზნით, ჩაატაროს მოკლევადიანი ინსტრუქტაჟი სასოფლო საბჭოების მდივნებისა, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მოანგარიშეებისა და ძირეული რგოლის სხვა სააღრიცხვო მომუშავეებისა;

ვ) უზრუნველყოს ყველა ძირეული რგოლი (სასოფლო საბჭო, საბჭოთა მეურნეობა, კოოპმეურნეობა, კოლმეურნეობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური), რომელიც გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ხაზით ანგარიშვალდებულია, ანგარიშების დამტკიცებული ფორმებით და შეამოწმოს ადგილობრივ, მიწვდენილია თუ არა ეს ფორმები ძირეულ რგოლამდე;

ზ) ხუთი დღის ვადაზე შეადგინოს და გაგზავნოს ადგილობრივ მოკლე პოპულარული ინსტრუქცია ძირეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთათვის (საბჭოთა მეურნეობა, კოოპმეურნეობა, კოლმეურნეობა) და სასოფლო საბჭოებისათვის ანგარიშების ფორმების შევსების წესის შესახებ და აგრეთვე ჯუმლების შედგენისა და ფორმების ზემდგომ ორგანოებში გაგზავნის შესახებ;

თ) შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებათა პროექტი ძირეული რგოლის საუკეთესო სააღრიცხვო მომუშავეთა წასახალისებლად სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ხაზით (კონკურსი, პრემიები და სხვ.);

ი) დაავალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და ყველა ძირეულ ორგანოებს—უზრუნველყონ ოპერატიული ანგარიშგების შევსებული ფორმების წარმოდგენა დადგენილ ვადებზე და პასუხისმგებლობა ცნობების თავის დროზე გამოგზავნისა და სისწორისათვის დააკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, საბჭოთა მეურნეობების და კოოპმეურნეობების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს.

2. წინადადება მიეცეს ტრაქტოროცენტრს, საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს და ცეკავშირს (კოოპმეურნეობების ხაზით):

ა) შეამოწმონ და შეავსონ თავიანთი ორგანოები ცენტრში და ადგილებზე სააღრიცხვო მომუშავეთა სათანადო კადრებით; ამასთანავე მოაწყონ აღნიშნული კადრებისათვის საჭირო ინსტრუქტაჟი სასოფლო-სამეურნეო კამპანიების საკითხების ხაზით;

ბ) გამოჰყონ თავიანთ ძირეულ ორგანოებში აღრიცხვის წარმოებისათვის პასუხისმგებელი პირები და დააკისრონ მათ გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის აღრიცხვის შევსებული ფორმების წარმოდგენა დადგენილ ვადებზე.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს ორგაღრიცხვას უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ანგარიშგების ფორმები ქაღალდის სათანადო რაოდენობით და მოაწყოს მათი ბეჭდვა რიგს გარეშე.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) სასწრაფო წესით განიხილოს და დაამტკიცოს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ოპერატიული ანგარიშგების ფორმები და უზრუნველყოს ამ ფორმების თავის დროზე დაბეჭდვა და რაიონებში გაგზავნა;

ბ) შეამოწმოს, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტურის მეშვეობით, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ძირეული სააღრიცხვო რგოლი ანგარიშგების დამტკიცებული ფორმებით, და დააკისროს მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სამიწათმოქმედო ორგანოებს, რათა აღრიცხვის ფორმები რაც შეიძლება ჩქარა მიწვდენილ იქნეს ძირეულ რგოლამდე;

გ) შეამოწმოს, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტურის მეშვეობით, თუ რამდენად მომზადებული არიან აღრიცხვის ძირეული მომუშავენი სასოფლო-სამეურნეო კომპანიისათვის, თანაც დააკისროს მათ—თვალყური ადევნონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ ძირეული აღრიცხვის სისტემას ამ ორგანიზაციებში;

დ) დაუყოვნებლივ შეავსოს და განამტკიცოს სახალხო-სამეურნეო ორგანოები კვალიფიციური კადრებით და მოაწყოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორებისათვის მოკლევადიანი კურს-კონფერენცია, რათა მათ გაეწიოს სათანადო ინსტრუქტაჟი აღრიცხვის საკითხების სფეროში;

ე) მოაწყოს სააღრიცხვო საქმის მდგომარეობის სისტემატური შემოწმება ძირეულ ორგანოებში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საბჭოთა მეურნეობების, კოოპმეურნეობების და კოლმეურნეობების აღრიცხვის მომუშავეებისა და სასოფლო საბჭოების მდივნების სოციალურ შემადგენლობას და მომზადებას;

ვ) მოსავლიანობის გამორკვევის სახელმწიფო სარაიონთა-შორისო კომისიების მოწყობასთან დაკავშირებით, ათი დღის ვადაზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების სათესი ფართობის გაზომვის და აგრეთვე მოსავლის ობიექტური გაზომვის საორგანიზაციო გეგმა და ამ გაზომვის ჩატარების პროგრამა;

ზ) უზრუნველყოს მთელი ხაზით თესვის კამპანიის შესახებ ყველა საჭირო საალრიცხვო ცნობების მიღება დადგენილი ფორმებით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა და მომარაგების სახალხო კომისარიატისაგან და სხვ.

5. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ სასოფლო საბჭოების მიერ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ჯუმლების თავის დროზე წარმოდგენა მათთვის დადგენილი ანგარიშგების ფორმების მიხედვით და ამ ჯუმლების სისავსე და სისწორე; ამასთანავე ჯუმლების შედგენა სასოფლო საბჭოების ხაზით დააკისრონ სასოფლო საბჭოების მდივნებს, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო კამპანიის აღრიცხვის ჩატარების მხრით სავსებით სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს უნდა დაემორჩილონ.

6. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს პასუხისმგებლობა აღრიცხვის თავის დროზე ჩატარებისა და წარმოდგენილი ცნობების ამომწურავი სისრულისა და სისწორისათვის სასოფლო საბჭოს ხაზით დააკისრონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

7. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. აპრილის 13.
ტფილისი.

---

133. დადგენილება ს.კ.ს.

„დასარგავი მასალის სავალდებულო დეზინსექციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-4 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 2-ის დადგენილებისა „დასარგავი მასალის სავალდებულო დეზინსექციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-ი, მუხ. 72) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას ას მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ერთ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი მუხ. 235).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მარტის 23.
ტფილისი.

---

134. დადგენილება ს.კ.ს.

ფსირცხისა, ორთაბათუმისა, მახინჯაურისა, ჩაქვისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებში ლიმონის და მანდარინის ნარგავების ისეთ სადედეებად გამოცხადების შესახებ, რომელთა ექსპლოატაციაც უნდა სწარმოებდეს სამყნობი (კვირტიანი) ყლორტების (კალმების) დასამზადებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიმონისა და მანდარინის ნარგავები ფსირცხისა, ორთაბათუმისა, მახინჯაურისა, ჩაქვისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებში გამოცხადებულ იქნეს ისეთ სადედეებად, რომელთა ექსპლოატაციაც უნდა სწარმოებდეს სამყნობი (კვირტიანი) ყლორტების (კალმების) დასამზადებლად.

2. სამყნობი ყლორტების ჩამოჭრის წესს და რაოდენობას განსაზღვრავენ სპეციალური კომისიები სამიწათმოქმედო ორგანოებისა, ლიმონ-მანდარინის ტრესტისა, და ტრაქტოროცენტრის წარმომადგენელთა შედგენილობით.

3. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს სამი დღის ვადაზე და წარმართოს სახელმძღვანელოდ წესები აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებში მანდარინის ნარგავების სამყნობ ყლორტებად გამოყენების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ჟოჟიკაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მარტის 29.
ტფილისი.

ვეტერინარია

135. დადგენილება ს.კ.ს.

„ოთხფეხი საქონლისა და ხორცეულის ვაჭრობის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. ივლისის 4-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 4-ის დადგენილებაში „ოთხფეხი საქონლისა და ხორცეულის ვაჭრობის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 137, 1933 წ. მე-7 №-ი, მუხ. 96) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლის „დ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[1. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:....]

„დ) განსაზღვრონ სავალდებულო დადგენილებათა წესით, რომ მსხვილფეხა საქონლისა და 16 კილოგრამზე მეტი ცოცხალ-წონის მქონე ღორების დაკვლა როგორც გაყიდვისა, ისე პირადი მოხმარებისათვის, აგრეთვე წვრილფეხა საქონლის (ღორი, ცხვარი) დაკვლა, რა წონისაც უნდა იყოს იგი, ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და სხვა ადგილებში, სადაც არსებობს სასაკლაო და სასაკლაო მოედანი, შეიძლება მხოლოდ სასაკლაოზე და სასაკლაო ადგილას, და ამ წესის დარღვევისათვის დააწესონ პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200[1] მუხლის თანახმად“.

2. მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. წვრილფეხა საქონლის (16 კილოგრამზე ნაკლები ცოცხალ-წონის მქონე ღორი, ცხვარი) სათითაოდ დაკვლა (შინ დაკვლა) შეიძლება სასაკლაოების და სასაკლაო მოედნების გარეშე: ყველგან პირადი მომხმარებისათვის, ხოლო სოფლად, სადაც სასაკლაო და სასაკლაო მოედანი არ არსებობს, გასაყიდადაც“.

II

წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შეუთანხმონ ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილებას მათ მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი საქონლის დაკვლისა და საქონლისა და ხორცის ვაჭრობის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. აპრილის 7.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

136. დადგენილება ს.კ.ს. და ს კ.პ.(ბ) ც.კ.

კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის იანვრის 19-ის

დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-4 №-ი, მუხ. 25) და „ა/კსფსრ-ში 1933 წლის მოსავლიდან მარცვლეულის ჩაბარების ნორმების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 8-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1933 წ. 56 №-ი) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს მარცვლეული კულტურების დამზადების არსებული სახელშეკრულობო (საკონტრაქტაციო) სისტემა და დაწესებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის გადასახადის ძალის მქონე მტკიცე ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებისა დადგენილ სახელმწიფო ფასად.

2. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ნორმები კოლექტიური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის 1933 წლის მოსავლიდან მარცვლეულის ჩაბარებისა დადგენილი საგაზაფხულო თესვის გეგმის თვითეულ ჰექტარზე და საშემოდგომო თესვის თვითეულ ფაქტიურად დათესილ ჰექტარზე (ცენტნერობით):

(იხილე ცხრილი 294 გვერდზე).

შენიშვნა. სიღნაღისა, თელავისა, სტალინისისა, გარე-კახეთისა, გორისა და ტფილისის რაიონებში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ დააწესონ მარცვლეულის ჩაბარების ორი ნორმა, ხოლო ისე, კი, რომ ჩაბარების საშუალო ნორმა ჰექტარზე ყველა მარცვლეულისა საერთოდ და ცალკეული კულტურებისა ცალკე იმ საშუალო ნორმაზე ნაკლები არ იყოს, რაც აღნიშნულია ამ ცხრილის სათანადო პუნქტში.

3. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—დააწესოს კოლექტიური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების რაიონობითი ნორმები წინა მუხლის ცხრილის 24 პუნქტში აღნიშნული ნორმის აწევ-დაწევით, ხოლო ისე-კი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტიური მეურნეობების მიერ მარცვლეულის ჩაბარება ისეთი რაოდენობით, რაც განსაზღვრულია ოლქისათვის, და რომ მარცვლეულის ჩაბარების საშუალო ნორმა ოლქში ნაკლები არ იყოს იმ ნორმაზე, რაც აღნიშნულია ცხრილის 24 პუნქტში.

4. ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული რაიონობითი ნორმები სავალდებულოა რაიონის ყველა კოლექტიური მეურნეობისათვის, და მათი შეცვლა არ შეიძლება.

5. თვითეული კოლექტიური მეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მარცვლეულის რაოდენობას განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ამა დადგენილების მე-2,3 და 4 მუხლების სრული შესაბამისობით; ამასთანავე იმ რაიონში, რომლისთვისაც, მე-2 მუხლის ცხრილის თანახმად, გათვალისწინებულია მარცვლეულის ჩაბარების ორი ნორმა, ეს ნორმები

მე-2 მუხლისთვის

რაიონები	იმ კოლმეურნეო ბათათვის, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტ. სადგურები უწევენ.		იმ კოლმეურნეობათათვის, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ.	
	ყველა მარცვლ. კულტურის საშუალო ნორმები	აქედან ხორბლისა.	ყველა მარცვლ. კულტურის საშუალო ნორმები	აქედან ხორბლისა.
1. ტფილისის . .	0,41	0,45	0,62	0,66
2. მცხეთის . . .	0,42	0,46	0,63	0,67
3. დუშეთის . . .	0,42	0,46	0,63	0,67
4. ერწო-თიანეთის	0,41	0,44	0,60	0,64
5. თელავის . . .	0,42	0,46	0,63	0,67
6. ყვარლის . . .	5,54	0,59	0,80	0,80
7. გარე-კახეთის .	0,44	0,48	0,66	0,71
8. გურჯაანის . .	0,44	0,48	0,65	0,65
9. სიღნაღის . .	0,58	0,68	0,86	0,86
10. ლაგოდეხის . .	0,49	0,54	0,71	0,80
11. აღბულახ-მანგლ.	0,42	0,46	0,63	0,67
12. წალკის . . .	0,42	0,46	0,63	0,67
13. ბორჩალოს . .	0,32	0,64	0,64	0,69
14. ლუქსემბურგის	0,45	0,49	0,67	0,71
15. ბაშკიჩეთის . .	0,37	0,41	0,55	0,59
16. კასპის	0,33	0,38	0,60	0,64
17. სტალინისის . .	0,44	0,49	0,65	0,65
18. გორის	0,45	0,49	0,67	0,72
19. ახალციხის . .	0,42	0,46	0,63	0,67
20. ადიგენის . . .	0,41	0,45	0,62	0,66
21. ტოლოშის . .	0,39	0,43	0,58	0,62
22. ახალქალაქის .	0,43	0,46	0,66	0,70
23. ბოგდანოვკის .	0,39	0,43	0,57	0,61
24. სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქი . .	0,41	0,45	0,62	0,65

შეეფარდება კოლექტიური მეურნეობების განსაზღვრულ ჯგუფებს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

6. ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მარცვლეულის რაოდენობას განსაზღვრავენ სასოფლო საბჭოები, რომელნიც აწესებენ თვითეული ინდივიდუალური მეურნეობისათვის მარცვლეულის ჩაბარების

მტკიცე ვალდებულებებს საშემოდგომო კულტურებით ფაქტიურად დათესილი ფართობის კვალობაზე და სასოფლო საბჭოს მიერვე თვითეული ინდივიდუალური მეურნეობისათვის დადგენილი საგაზაფხულო კულტურების თესვის—მცენარეთა გეგმის მიხედვით; ამასთანავე, ინდივიდუალური მეურნეობის მიერ ჩასაბარებელი მარცვლეულის ნორმა ერთ ჰექტარზე მეტი უნდა იყოს უწყებელი რაიონის კოლექტიური მეურნეობებისათვის დაწესებულ ნორმაზე 5%-დან 10%-დე.

7. როგორც კოლექტიურმა მეურნეობებმა, ისე ინდივიდუალურმა მეურნეობებმა მარცვლეული უნდა ჩააბარონ შემდეგ საკალენდრო ვადებზე და საჰექტარო ნორმის შემდეგი პროცენტობით: ივლისში—20%, აგვისტოში—35%, სექტემბერში—35% და ოქტომბერში—10%.

8. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს (ამასთანავე, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პასუხისმგებლობით)—ჩააბარონ არა უგვიანეს 1933 წლის აპრილის 1-ისა თვითეულ კოლექტიურ მეურნეობას ვალდებულება მარცვლეულის ჩაბარებისა კულტურების მიხედვით ამ ვალდებულების შესრულების ვადების აღნიშვნით.

იმავე ვადაზე სასოფლო საბჭოებმა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით, უნდა ჩააბარონ თვითეულ ინდივიდუალურ მეურნეობას ვალდებულება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებისა, ჩასაბარებელი რაოდენობის აღნიშვნით თვითეული კულტურისათვის ცალკე და აგრეთვე დავალების აღსრულების ვადების აღნიშვნით.

9. კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დროს შეიძლება ერთი კულტურა შეიცვალოს მეორე კულტურით (სიმინდი ქერის ნაცვლად და წინაუკმოდ), ხოლო ხორბლის შეცვლა სხვა რომელიმე კულტურით და აგრეთვე სხვა სასურსათო კულტურების საფურაჟო და საბურღულო კულტურებით შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

10. კოლექტიური მეურნეობანი და ინდივიდუალური მეურნეობანი მოვალენი არიან მიზიდონ და ჩააბარონ თავიანთი ხვედრი მარცვლეული სადგურებზე მდებარე „ზაგოტზერნო"-ს (ან „ზაგოტზერნოს" მონაცვლე დამმზადებელ ორგანიზაციების) საწყობებში, ხოლო დამმზადებელი ორგანიზაციები მოვალენი არიან დაიცვან მარცვლეულის ჩამბარებლებთან ანგარიშის გასწორებისათვის არსებული პრაქტიკა და მხედველობაში მიიღონ, რა მანძილზეა მარცვლეული მიზიდული.

11. კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებათა აღსრულების ანგარიშში მიიღება კარგი თვისების მარცვლეული.

აშმორებული და ასოღებული მარცვლეული ვალდებულების აღსრულებაში არ ჩაითვლება.

განაგვიანებული და ნოტიო მარცვლეული ვალდებულების აღსრულებაში ჩაითვლება, ხოლო მონაკლებით განაგვიანებისა და ნოტიობისათვის — მონაკლებთა ნორმების კვალობაზე, რაც დადგენილია შრომისა და [illegible] საბჭოს მიერ.

მარცვლეულის მიმღები პუნქტების გამგენი მოვალენი არიან პასუხისგებაში მისცენ ისინი, ვინც შეეცდება ჩააბაროს სახელმწიფოს აშკარად უვარგისი ან გაფუჭებული მარცვლეული.

12. სოფლის მასწავლებლებისა, აგრონომებისა და სამედიცინო მომუშავეების პურით მომარაგებისათვის დაწესებულ იქნეს სავალდებულო დანარიცხი 2% ის რაოდენობით კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებაზე, რაც განსაზღვრულია ამა დადგენილებით.

მარცვლეულს ამ ანარიცხის ანგარიშში კოლექტიური და ინდივიდუალური მეურნეობანი აბარებენ მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულების შესრულებასთან ერთად; ეს საანარიცხო მარცვლეული შედის „ზაგოტზერნო"-ს საწყობებში და იხარჯება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივების საფუძველზე, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით, მარტოოდენ მასწავლებლებისა, აგრონომებისა და სამედიცინო მომუშავეების მოსამარაგებლად.

13. ამა დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებისა შეადგენენ თვითეული კოლექტიური მეურნეობისა და ინდივიდუალური მეურნეობის საპირველრიგო მოვალეობას და აღსრულებულ უნდა იქნენ პირველი ნალეწებიდან.

პურის საკოლმეურნეო ვაჭრობა ნებადართულ იქნება მხოლოდ ამა დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული პურის დამზადების გეგმის შესრულების შემდეგ მთელს რესპუბლიკაში და აგრეთვე, ამ გეგმის შესრულებისას, სათესლე ფონდების სრული დაგროვების შემდეგ.

14. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებისას ამა დადგენილების განსაზღვრულ საკალენდრო ვადაზე, დაედება სასოფლო საბჭოს მიერ ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების კვალობაზე და, ამის გარდა, ამ კოლექტიურ მეურნეობას მოეთხოვება ვადამდე შეასრულოს წლიური ვალდებულება, რაც გადახდევინებულ იქნება უდავო წესით.

ის ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებისას ამა დადგენილებით განსაზღვრულ ვადაზე, მიცემულ იქნება პასუხისგებაში სასამართლო წესით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად.

15. კატეგორიულად ეკრძალებათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და დამზადებელ ორგანოებს შემხვედრი გეგმების შემოღება ან კოლექტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის მარცვლეულის ჩაბარების ისეთი ვალდებულებების დაკისრება, რაც აღემატება ამა დადგენილებით განსაზღვრულ საჰექტარო ნორმებს.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ მთელი ზედმეტი პურეული რჩება თვით კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების სრულ განკარგულებაში.

16. წინადადება ეძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში — გამოსცეს სამი დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის, დაამყაროს ცოცხალი ინსტრუქტაჟი ადგილებზე, სასტიკი კონტროლი და ანგარიშგება მარცვლეულის დამზადების საქმის აღსრულების მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის. მდივანი ლ. ბერია.

1933 წ. მარტის 25.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 70 №-ში 1933 წ. მარტის 26.

---

137. დადგენილება ს.კ.ს.

სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარებისა და 1933 წელს მატყლის დამზადების გეგმის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის მარტის 10-ის დადგენილებისა და სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის მარტის 17-ის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობების მიერ 1933 წელს ცხვრის მატყლის ჩაბარების გეგმა 3.100,6 ცენტნერის რაოდენობით — მქისე, ნახევრადმქისე და წმინდა მატყლის მთელი საერთო პროდუქციის მიხედვით.

აქედან საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით 2497,0 ცენტნერი.

სხვა საბჭოთა მეურნეობების ხაზით:

სიღნაღის კომბინატი	373,3	ცენტნერი
„ბოეც"-ი (გარე-კახეთი)	41,0	„
მეცხენეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობა . .	20,8	„
სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	36,0	„
კარაქტრესტი	24,5	„

დადგენილ იქნეს აგრეთვე, რომ აღნიშნული საბჭოთა მეურნეობანი ვალდებული არიან ჩააბარონ სახელმწიფოს თხის მატყლისა და ბუმბულის მთელი საერთო პროდუქცია.

2. გაუქმებულ იქნეს მატყლის დამზადების არსებული სახელშეკრულებო (საკონტრაქტაციო) სისტემა და დაწესდეს ყველა კოლმეურნეობისა (სადაც არის განსაზოგადოებული ფარა), საკოლმეურნეო კომლისა და ინდივიდუალური მეურნეობისათვის, რომელთაც თხა და ცხვარი ჰყავთ, მტკიცე ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებისა (მიწოდების) დადგენილი სახელმწიფო ფასებით. ამ ვალდებულებებს აქვთ გადასახადის ძალა.

3. დადგენილ იქნეს მეცხვარეობის სასაქონლო ფერმების ხაზით 1933 წლის შემდეგი წლიური ნორმები სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარებისა გრამობით ერთ სულ ცხვარსა და თხაზე სეზონების მიხედვით:

რაიონები	ცხვრის მქისე მატყლი			თხის მატყლი	თხის ბუმბული
	გაზაფხ.	შემოდგ.	თოხლის		
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . .	950	550	250	350	85
ახალქალაქის რაიონი	1000	300	150	350	85
ბოგდანოვკის „	1000	350	150	350	85
ბორჯომის „	1000	550	250	350	85
გურჯაანის „	1000	600	250	350	85
სიღნაღის „	1000	600	280	350	85
თელავის „	1000	600	280	350	85
ყვარლის „	900	600	250	350	85
ტფილისის „	1000	600	250	350	85
ყარაიას „	1100	600	250	350	85
ბორჩალოს „	1100	600	250	350	85
წალკის „	1000	550	250	350	85
დუშეთის „	1100	550	250	350	85
ალბულახ-მანგლ. „	1000	550	250	350	85
გარე-კახეთის „	1000	600	250	350	85
ერწო-თიანეთის „	800	550	250	350	85
ხევის „	1100	550	250	350	85

ცხვრის ნახევრად-მქისე მატყლის ჩასაბარებლად დაწესებულ იქნეს ყველგან აღნიშნულ მეურნეობათათვის 1.700 გრამი ნახევრად-მქისე და 550 გრამი თოხლის ნახევრად-მქისე მატყლი.

4. დამტკიცებულ იქნეს 1933 წელს კოლმეურნეობებისათვის, სადაც არის მეცხვარეობის სასაქონლო ფერმად გაფორმებული განსაზოგადოებული ფარა, აგრეთვე საკოლმეურნეო კომლებისა და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი საშუალო წლიური ნორმები აფხაზეთის ავტ. სსრ-ში, აჭარისტანის ავტ. სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში, და მტკიცე წლიური ნორმები დანარჩენ რაიონებში გრამობით ერთ სულ ცხვარსა და თხაზე გაპარსვის სეზონის მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	ცხვრის მჭისე მატყლი		თხის მატყლი
	გაზაფხულის	შემოდგომის	ბუმბული
ახალქალაქის რაიონი	750	470	400
ბოგდანოვკის „	750	470	300
ახალციხის „	750	470	400
ადიგენის „	750	470	400
ტოლოშის „	700	470	400
სტალინისის „	730	530	300
გორის „	730	550	300
კასპის „	730	550	300
ბორჯომის „	730	600	300
გურჯაანის „	730	700	300
სიღნაღის „	750	700	400
თელავის „	750	700	300
ყვარლის „	730	600	300
ლაგოდეხის „	600	470	300
ტფილისის „	750	700	300
ყარაიას „	750	700	300
ბორჩალოს „	750	700	300
ლუქსემბურგის „	750	650	300
წალკის „	750	600	400
დუშეთის „	850	570	300
ალბულახ-მანგლ. „	750	600	300
გარე-კახეთის „	750	700	300
მცხეთის „	650	470	300
ბაშკიჩეთის „	750	700	300
ერწო-თიანეთის „	730	600	300
ხევის „	850	570	300
წალენჯიხის „	500	450	—
ქუთაისის „	300	200	—
სამტრედიის „	300	200	—
ხონის „	300	200	—
ვანის „	300	200	—
ბაღდადის „	300	200	—
ზესტაფონის „	300	200	—
ჩხარის „	300	200	—
ჭიათურის „	300	200	—
ხორაგოულის „	300	200	—

რაიონები	ცხვრის მქისე მატყლი		თხის მატყლი
	გაზაფხულის	შემოდგომის	და ბუმბული
ოკრიბის „	300	200	—
ონის „	300	200	—
ამბროლაურის „	300	200	—
ქვემო-სვანეთის „	300	200	—
ზემო-სვანეთის „	300	200	—
აბაშის „	300	200	—
სენაკის „	300	200	—
მარტვილის „	300	200	—
ზუგდიდის „	300	200	—
ხობის „	300	200	—
ჩხოროწყუს „	300	200	—
ოზურგეთის „	300	200	—
ლანჩხუთის „	300	200	—
ჩოხატაურის „	300	200	—
ცაგერის „	300	200	—
ფოთი „	300	200	—
აფხაზეთის ავტ. სსრ	550	350	—
აჭარისტანის ავტ. სსრ	650	400	400
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	750	550	400

ცხვრის წმინდა და ნახევრად-მქისე მატყლის ჩასაბარებლად დაწესებულ იქნეს ყველგან აღნიშნულ მეურნეობათათვის: 4.500 გრამი წმინდა მატყლი, 2.300 გრამი ნახევრად-მქისე და 600 გრამი თოხლის ნახევრად-მქისე მატყლი.

შენიშვნა. შემოდგომისა და თოხლის მატყლის ნაცვლად ვალდებულების შესრულების ანგარიშში შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გაზაფხულის მატყლი.

5. იმ კოლმეურნეობაში შემავალი კომლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული ფარა ჰყავს, მატყლის სავალდებულო ჩაბარების ნორმა დაწესებულია 10%-ით ნაკლები, ხოლო იმ კოლმეურნეობაში შემავალი კომლისათვის, რომელსაც მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა აქვს, 20%-ით ნაკლები მე-4 მუხლით დადგენილ ნორმებთან შედარებით.

6. დაევალოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მე 4 და მე-5 მუხლით გათვალისწინებული საშუალო ნორმების საფუძველზე დააწესონ და არა უგვიანეს ამა წლის მარტის 28-ისა გამოაქვეყნონ მატყლის ჩაბარების ნორმები რაიონების მიხედვით; ამასთანავე მათ შეუძლიანთ ცალკეული

რაიონებისათვის და ცხვრის ცალკეული ჯიშებისათვის დააწესონ რამდენადმე მეტი ან ნაკლები ნორმები ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ხაზით დადგენილ ნორმებთან შედარებით, ხოლო ისე, რომ ეფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისათვის დადგენილი მატყლის დამზადების გეგმების შესრულება სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს, და რომ მატყლის ჩაბარების საშუალო ნორმა მე-4 მუხლით დაწესებულ საშუალო ნორმაზე ნაკლები არ იყოს.

7. დაევალოს სასოფლო საბჭოებს არა უგვიანეს 1933 წლის აპრილის 5-ისა ჩააბარონ თვითეულ ინდივიდუალურ მეურნეობას და საკოლმეურნეო კომლს, რომელთაც თხა და ცხვარი ჰყავთ, და თვითეულ კოლმეურნეობას, რომელსაც მეცხვარეობის სასაქონლო ფერმად გაუფორმებელი განსაზოგადოებული ფარა ჰყავს, ვალდებულება სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებისა და ამასთანავე აღნიშნონ წლიური ნორმა და ჩაბარების ვადები და პუნქტები.

წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს აღნუსხონ ჩამბარებლების მიერ თავიანთი ვალდებულების შესრულება. დაევალოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ვალდებულებათა ჩაბარების ამა მუხლში აღნიშნული ვადების ზუსტად დაცვა.

8. დამტკიცებულ იქნეს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა და რაიონების მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისათვის მატყლის ჩაბარების შემდეგი გეგმები ცენტნერობით:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	გაზაფ-ხულის	შემოდ-გომის	თოხლის	თხის მატყლი	თხის ბუმბული
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . .	86,9	48,9	9,6	2,0	0,5
ახალქალაქის რაიონი	118,8	34,6	7,6	3,6	0,9
ბოგდანოვკის „	16,2	5,5	1,0	—	—
ბორჯომის „	0,7	0,4	0,1	—	—
გურჯაანის „	19,0	11,1	2,0	0,3	0,06
სიღნაღის „	333,0	193,9	39,3	2,9	0,69
თელავის „	84,0	48,9	10,0	1,3	0,3
ყვარლის „	25,6	16,8	3,0	0,7	0,16
ტფილისის „	84,6	49,4	8,9	0,57	0,14
ყარაიას „	78,8	41,9	7,6	0,54	0,13
ბორჩალოს „	7,9	4,3	0,8	0,06	0,02
წალკის „	4,3	2,4	0,4	—	—
დუშეთის „	147,0	71,4	14,1	2,7	0,66
აღბულახ-მანგ. „	3,3	1,8	0,3	—	—
გარე-კახეთის „	11,2	6,5	1,2	0,1	—
ერწო-თიანეთის „	58,0	38,8	7,6	1,3	0,3
ხევის „	17,1	8,4	1,6	0,15	0,04

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა და რაიონებისათვის დამტკიცებულ მატყლის ჩაბარების გეგმებს მეცხვარეობის ცალკეული სასაქონლო ფერმების მეხედველობით გაანაწილებს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც ვალდებული არიან მიაწვდინონ ჩაბარების გეგმა თვითეულ ფერმამდე არა უგვიანეს 1933 წლის აპრილის 1-ისა.

9. დადგენილ იქნეს კოლმეურნეობების და მეცხვარეობის სასაქონლო ფერმების, საკოლმეურნეო კომლების და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ მათთვის დაწესებული მატყლის ჩაბარების წლიური ნორმების შესრულების შემდეგი ზღვრული კალენდრული ვადები: ყვ ლა ჯიშის ცხვრის გაზაფხულის მატყლი და თხის მატყლი და ბუმბული ჩაბარებულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაზე გაპარსვის და აკრეფის მომენტიდან, ხოლო არა უგვიანეს 1933 წლის ივლისის 15-ისა, ცხვრის შემოდგომის და თოხლის მატყლი—აგრეთვე 10 დღის ვადაზე, ხოლო არა უგვიანეს 1933 წ. ოქტომბრის 15-ისა.

10. იმ მეურნეობას, რომელიც სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულების შესრულებას თავს არიდებს, დამმზადებელი ორგანიზაციის მოთხოვნით დაედება, სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით, თანაც ეს შეუსრულებელი ნაწილი გადახდევინებულ იქნება (ნატურად) უდავო წესით.

ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც მატყლის ჩაბარების ვალდებულებას დაჟინებით არ ასრულებს, მიეცემა პასუხისგებაში სასამართლოს წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად.

11. მატყლის დამზადება ამა დადგენილების წესისამებრ ეკისრება სრულიად საკავშირო სადარგო შენაერთს—„სოიუზზაგოტშერსტ"-ს და, ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულების წესით,—სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას. რაიონებისა და დამზადების გეგმების განაწილებას ძირითად დამმზადებლებს შორის დაამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

12. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამმზადებელ ორგანოებს ეკრძალებათ—დააკისრონ კოლმეურნეებს, ინდივიდუალურ მეურნეებს, კოლმეურნეობებს და მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებს მატყლის ჩაბარების ვალდებულება ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება ამა დადგენილებით რაიონებისათვის დაწესებულ ჩაბარების ნორმებს. მატყლის მთელი ზედმეტი ნაწილი, თუ სახელმწიფოსათვის ჩაბარების ვალდებულება პირნათლად არის შესრულებული, რჩება თვით მეურნეობის განკარგულებაში როგორც გასაყიდად, ისე საკუთარი საჭიროებისათვის.

13. მატყლის დამზადების ჩატარების ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეკისრება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რომელსაც ევალება სსრ კავშირის და ა/კ.

სფსრ-ის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატების ინსტრუქციის საფუძველზე შეიმუშაოს წესები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მარტის 25.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 71 №-ში 1933 წ. მარტის 27.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

138. დადგენილება ს.კ.ს.

ახალი მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში სამწვანო საქმის მშენებლობის აუცილებლად შეტანის შესახებ.

ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და მუშათა დაბებში და საკურორტო და სააგარაკო ადგილებში სამწვანო საქმის მშენებლობის განვითარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა იმ უწყებას, დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აწარმოებს საბინაო, კომუნალურ, საკურორტო და სხვა არასამრეწველო მშენებლობას და აგრეთვე ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობას,—გაითვალისწინოს ასეთი მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს მწვანე ნარგავთა გაშენება და გადასდოს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის სათანადო სახსარი.

2. განსაზღვრულ იქნეს, რომ მშენებლობათა პროექტები მწვანე ნარგავთა ხაზით აუცილებლად შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან.

3. სამწვანო საქმის მშენებლობისათვის გადასადები ასიგნების რაოდენობა გამოიანგარიშება თვითეულ ცალკე შემთხვევაში წარმოებული მშენებლობის სახისა და ხასიათისა, ახალ მშენებლობათა რაიონში ქონებული თავისუფალი მიწის ნაკვეთებისა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით.

4. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ადგილობრივ საბჭოებს—ქალაქებისა, მუშათა დაბებისა, კურორტებისა, სააგარაკო ადგილებისა და სხვა მისთ. დაგეგმვისა და გადაგეგმვის დროს აუცილებლად გაითვალისწინონ სათანადო პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში სამწვანო საქმის მშენებლობა და განზრახული ღონისძიებანი უზრუნველყონ სათანადო ასიგნებით.

5. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და საქალაქო საბჭოებს—ს

ლობის სათანადო პროექტების დამტკიცების დროს დააკისრონ მეალნაგეთ გააშენონ საალნაგო მიჩენილ მიწის ნაკვეთებზე და ამ ნაკვეთების გვერდით მდებარე საერთო სარგებლობის ადგილებზე (ქუჩები, მოედნები და სხვ. მისთ.) მწვანე ნარგავები ქალაქების დაგეგმვისა და გადაგეგმვის საერთო გეგმის შესაბამისად.

6. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გაითვალისწინონ ყოველწლიურად ბიუჯეტებში მწვანე ნარგავთა შენახვისა და გაშენებისათვის საჭირო ასიგნები.

წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—ანგარიშში მიიღოს ეს დირექტივა ადგილობრივი ჯუმლობითი ბიუჯეტის განხილვის დროს.

7. მიენდოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს:

ა) გამოსცეს, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და

ბ) განსაზღვროს სია იმ ქალაქებისა, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისა, მუშათა დაბებისა და საკურორტო და საგარაკო ადგილებისა, რომლებზედაც ვრცელდება ეს დადგენილება.

8. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. აპრილის 7.
ტფილისი.

---

139. დადგენილება ს.კ.ს.

„სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის შენობებისა, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. აპრილის 29-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 29-ის დადგენილებაში „სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის შენობებისა, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 13 №-ი, მუხ. 151) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირის ტარიფების განაკვეთებს აწესებენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები შემდეგი ძირითადი ელემენტების მიხედვით (ერთი წლის ანგარიშის კვალობაზე):

ა) საამორტიზაციო ხარჯები, კაპიტალური რემონტის ჩათვლით, — იჯარით გასაცემი ყველა შენობის საშუალო საღნაგო (საამღდგენო) ღირებულების 2%-ის რაოდენობით;

ბ) საექსპლოატაციო ხარჯები და აგრეთვე ცარიელი სადგომების საკონსერვაციო ხარჯები იჯარით გასაცემი შენობის საშუალო საღნაგო ღირებულების 1%-ის რაოდენობით;

გ) საპროცენტო დანარიცხები (მოგება შენობის საღნაგო ღირებულებაზე), რაც გამოიანგარიშება შენობათა და სადგომთა ცალკეული კატეგორიებისათვის ადგილმდებარეობისა და სხვა პირობების მიხედვით; ამასთანავე, საპროცენტო დანარიცხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს იჯარით გასაცემი ყველა სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო შენობისა და სადგომის საღნაგო ღირებულების 10%-ს წლიურად“.

2. მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. შენობისა და სადგომის საღნაგო (საღმდგენო) ღირებულება განისაზღვრება შენობის კუბატურის მიხედვით საინვენტარიზაციო ცნობების თანახმად. უკეთუ ინვენტარიზაცია არ მომხდარა, შენობის თუ სადგომის საღნაგო ღირებულება განისაზღვრება მისი კუბატურის კვალობაზე; ამასთანავე, ეს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ქალ. ტფილისში—55 მან., ქალ. სოხუმსა, ბათუმსა, ფოთსა და ქუთაისში—40 მან., ხოლო სხვა ადგილას—30 მან კუბ. მეტრზე.

შენიშვნა. გაადვილებული ტიპის ხის შენობის საღნაგო ღირებულება განისაზღვრება არა უმეტეს 13 მან. კუბ. მეტრზე.“

3. მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაწესებულ იქნეს განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ დაჭერილი სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების საიჯარო განაკვეთების ძირითადი ტარიფის შემდეგი მინიმალური მონაკლები:

ა) იმ საწარმოთა და ორგანიზაციათათვის, რომელნიც ანხორციელებენ პურის წარმოებას და ვაჭრობას. . . . . 15%-ის რაოდენობით;

ბ) წიგნების გამომცემლობისათვის და
წიგნის ვაჭრობისათვის . . . . . 25%-ის რაოდენობით;

გ) აფთიაქებისათვის . . . . . 25%-ის რაოდენობით;

შენიშვნა. სარეწაო კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობებისა, აგრეთვე შინამრეწველებისა და ხელოსნების მიერ დაჭერილი სადგომების ქირისათვის ძალაში რჩება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილება „სარეწაო კოოპერატიული

არტელებისა და ამხანაგობების და აგრეთვე შინამრეწველებისა და ხელ-
სნებისათვის სადგომების დაქირავების შეღავათების შესახებ" (საქ. სსრ
კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 247 და 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 40) და
1932 წ. დეკემბრის 8-ის დადგენილება—ინვალიდთა კოოპერაციის ამ-
ხანაგობებზე და არტელებზე და სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა
დამხმარე კომიტეტის საწარმოო ორგანიზაციებზე ზემოაღნიშნული შეღა-
ვათების გავრცელების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი,
მუხ. 21)".

4. მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. დაწესებულ იქნეს სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების
საიჯარო განაკვეთების ძირითად ტარიფზე შემდეგი ზღვრული ზედნართები:

ა) საიუველირო სახელოსნოებისა და ვაჭრობისათვის 25%

ბ) საათისა და ველოსიპედის სახელოსნოებისა და საწერი
მანქანების სარემონტო სახელოსნოებისათვის 25%

გ) ღვინისა და გასტრონომიული ვაჭრობისათვის 15%

დ) კერძო ვაჭრობისათვის 50%

II.

ნება დაერთოს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კო-
მიტეტებს—ამა დადგენილების თანახმად შეცვლილი სავაჭრო-სამრეწველო და
სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირის ტარიფების განაკვეთები შემოიღონ
სამოქმედოდ 1933 წლის იანვრის 1-დან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოიდგ. **ა. ჟოჟიკაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. აპრილის 9.

ტფილისი.

---

140. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ქალ. ქუთაისში არამშრომელი ელემენტის შემჭიდროების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალის სათა-
ნადო საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით უფლება მიეცეს ქუ-
თაისის საქალაქო საბჭოს ჩაატაროს ქუთაისში იმ პირთა შემჭიდროება, რო-
მელნიც არამშრომელთა ელემენტს ეკუთვნიან, რისთვისაც, მომქმედი კანონმდებ-
ლობის გამონაკლისად, შეიძლება ამ პირთა ერთი ბინიდან მეორე ბინაში გადა-
სახლება.

შენიშვნა. თავის სახლში მცხოვრები სახლის პატრონის გადასახლება არ შეიძლება.

2. ამა დადგენილებას ძალა აქვს მხოლოდ 1933 წლის მაისის 20-დე 1933 რიცხვის ჩათვლით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. აპრილის 14.

ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

141. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ" სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებისა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ.) 1-ლი მუხლის „გ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1. [1. ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ შემდეგი ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები:....]

„გ) გამოსაღები იმ საწარმოთათვის, რომელნიც იძლევიან საჭმლებსა და მაგარ სასმელებს ადგილობრივვე მოსახმარებლად, და სასტუმროთათვის".

2. აღნიშნული დადგენილების მე-IV თავის სახელწოდება შეიცვალოს შემდეგნაირად: „საჭმელებისა და მაგარი სასმელების ადგილობრივ მოსახმარებლად გამცემ საწარმოთა და სასტუმროთა გამოსაღები".

3. აღნიშნული დადგენილების მე-10,11,12,14,15 და 16 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„10. გამოსაღები დაედება რესტორანს, სასადილოს, ლუდხანას და ყოველგვარ საწარმოს, რომელიც იძლევა ადგილობრივვე მოსახმარებლად საჭმელს მა-

გარი სასმელების მიტანით, როგორიც არის: ღვინო, არაყი, კონიაკი, ლუდი და სხვ., და სასტუმროს.“

„11. გამოსაღები გადაიხდევინება გაცემული საქმლისა და სასმლის ფასისა და სასტუმროს მიერ გაწეული მომსახურეობის სასყიდლის პროცენტული ზედნართის სახით“.

„12. ეს გამოსაღები განისაზღვრება მთელი იმ თანხის პროცენტული ზედნართის სახით, რაც მიღებულია სასტუმროს მიერ გაწეული მომსახურეობისათვის და მუშტარზე გაცემული საქმლისა და სასმლისათვის, შემდეგი რაოდენობით: საზოგადოებრივი კვების სისტემის საწარმოთათვის—8%, სასტუმროსა და დანარჩენ საწარმოთათვის—10%“.

„14. ამ გამოსაღებისაგან განთავისუფლდება ისეთი რესტორანი, სასადილო და ამგვარი საწარმო, რომელიც მაგარ სასმელებს არ იძლევა“.

„15. გამოსაღების გადახდევინება ეკისრება საწარმოს გამგეს და პატრონს, რომელიც მოვალეა ხუთდღიურის განმავლობაში მიღებული გამოსაღების თანხა ჩააბაროს, არა უგვიანეს 2 დღისა ხუთდღიურის გასვლის შემდეგ, სახელმწიფო ბანკის სათანადო სალაროს“.

„16. გამოსაღების თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის დაირიცხება საურავი გადასახადთა გადახდევინების დებულების თანახმად. ამის გარდა, უკეთუ საწარმოს გამგე ან პატრონი არ გადაახდევინებს გამოსაღებს ან გადაახდევინებს ხვედრ გამოსაღებზე ნაკლებს და აგრეთვე თავის დროზე არ ჩააბარებს გამოსაღებს სახელმწიფო ბანკის სალაროს, მას შეიძლება დაედოს ჯარიმა ხუთას მანეთამდე სათანადო სარაიონო ან საქალაქო საფინანსო განყოფილების დადგენილებით“.

4. აღნიშნული დადგენილების მე-13 მუხლი ამოშლილ იქნეს.

II.

დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს 1933 მარტის 1-დან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. მარტის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 78 №-ში 1933 წ. აპრილის 4.

142. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივი ბიუჯეტების მომწესრიგებელი რესპუბლიკანური ფონდის შექმნისა და 1933 წელს ამ ფონდის შემავსებელი წყაროების შესახებ.

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 73 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. №-8 №-ი, მუხ. 697) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ეკონომიურად და ფინანსიურად მცირეძალოვანი რაიონებისათვის დახმარების გაწევისა და მათი ბიუჯეტების დეფიციტის დაფარვის მიზნით მოწყობილ იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტების მომწესრიგებელი რესპუბლიკანური ფონდი.

2. ადგილობრივი ბიუჯეტების მომწესრიგებელი რესპუბლიკანური ფონდის მოწყობისათვის საჭირო წყაროებად 1933 წელს განისაზღვროს:

ა) ბრუნვის გადასახადის ანარიცხები—1933 წლისთვის საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტის დასაფარავად დადგენილი რაოდენობით (5.276.100 მან.);

ბ) გაუნაწილებელი შემოსავალი—700.000 მან. რაოდენობით;

გ) ადგილობრივი ბიუჯეტებით საკუთარი შემოსავლის გადანარიცხები,—გარდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, თვითდაბეგვრისა, კომუნალური მეურნეობის შემოსავლისა, საბანკო სესხისა და სახელმწიფო დაზღვევის ანარიცხებისა,—შემდეგი სარაიონო ბიუჯეტებიდან და შემდეგი რაოდენობით:

ზუგდიდისა 55%;
სამტრედიისა 15%;
ზესტაფონისა 55%;
ბაღდადისა 45%;
გორისა 47%;
გურჯაანისა 76%;
ყვარლისა 88%;
სიღნაღისა 60%;
თელავისა 40%;
ხონისა 30%;

დ) ქუთაისის საქალაქო ბიუჯეტში მიღებული საშემოსავლო გადასახადის 60%;

ვ) ლუქსემბურგის სარაიონო ბიუჯეტში კოოპერატიული ამხანაგობა „უნიონი"-საგან მიღებული საშემოსავლო გადასახადი.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების საფუძველზე წესები ადგილობრივი ბიუჯეტების მომწესრიგებელი რესპუბლიკანური ფონდის შექმნისა, აღრიცხვისა და გამოყენების შესახებ;

ბ) იხმაროს, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორასთან შეთანხმებით, ლონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ გადარიცხულ იქნეს აღნიშნულ ფონდში. ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანხები.

4. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების თავის დროზე და ზედმიწევნით აღსრულებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ჟოჟიკაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. აპრილის 10.

ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

143. დადგენილება ს. კ. ს.

საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

რადგანაც თეატრებისათვის მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა მიწოდებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს და შეუძლიან ხელი შეუწყოს მშრომელთა აღზრდა-განვითარებას სოციალიზმის გზით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოცხადებულ იქნეს კონკურსი საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებებზე ქართულ ენაზე (თემას აირჩევს თვით ავტორი) სახელმწიფო და საპროფკავშირო თეატრებისა და თვითმოქმედი წრეებისათვის.

2. საკონკურსოდ წარმოდგენილ საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებთა დასაპრემირებლად დაწესებულ იქნეს: ერთი პრემია 5.000 მან. რაოდენობით (პირველი პრემია), ორი პრემია 3.000 მან. რაოდენობით თითო (მეორე პრემია) და ორი პრემია 2.000 მან. რაოდენობით თითო (მესამე პრემია).

3. ნაწარმოებთა საკონკურსოდ წარმოდგენის **ვადად** დაინიშნოს 1933 წ. ოქტომბრის 10.

4. საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაწარმოებთა განსახილველად და პრემიების გასანაწილებლად მოწყობილ იქნეს ჟური შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე ამხ. კ. ორაგველიძე, თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. ა. დუდუჩავა (განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორის გამგე) და წევრები: ამხ. ერ. ბედია, მ. ტოროშელიძე (საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე), ვ. იმედაძე (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ტფილისის კომიტეტის კულტურული პროპაგანდის განყოფილების გამგე), გ.

ბუხნიკაშვილი (ხელოვნების მომუშავეთა კავშირის გამგეობის გამგეობის თავმჯდომარე), კ. მარჯანიშვილი (სახალხო თეატრის ხელმძღვანელი), ა. ახმეტელი (რუსთველის თეატრის ხელმძღვანელი და დ. დემეტრაძე (სალიტერატურო გაზეთის რედაქტორი).

4. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს გამოსცეს სამი დღის ვადაზე ინსტრუქცია კონკურსის ჩატარებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს.ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ჟოჟიკაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მარტის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 79 №-ში 1933 წ. აპრილის 5.

ჯანმრთელობის დაცვა

144. დადგენილება ც. ა. კ.

„წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარი მთვარის“ საზოგადოების ორგანიზაციების მოქმედების ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

„წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა მიმართ რევოლუციონური კანონიერების დარღვევათა შესახებ“ გამოტანილი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. ოქტომბრის 17-ის დადგენილებისა (ოქმი № 51) და ამ დადგენილების საფუძველზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1932 წ. ნოემბრის 17-ს გამოტანილი დადგენილების (ოქმი № 40, § 4) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. კატეგორიულად აეკრძალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საზოგადოების დაწესებულებათა დახურვა, გამოსახლება მათ მიერ დაჭერილი სადგომებიდან და მათთვის სადგომების ჩამორთმევა, აგრეთვე ფინანსიურ სახსართა და ქონების ჩამორთმევა.

2. დაევალოს ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომლებმაც უკანონოდ ჩამოართვეს „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავრის“ საზოგადოების დაწესებულებათ სადგომები, დაუყოვნებლივ დააბრუნონ ეს სადგომები კუთვნილებისამებრ ან მიუჩინონ ხსენებული საზოგადოების დაწესებულებათ სხვა თანაბარი სადგომები.

3. დაევალოს ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციას—ყოველმხრივ ხელი შეუწყოს და ყოველგვარი დახმარება გაუწიოს „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საზოგადოების ორგანიზაციების მოქმედების განვითარებას.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურატურას—თვალყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას.

5. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და ყა მხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

სრ. საქ. ც.ა.კ.ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. მარტის 27.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

145. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 202 და 202¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

„აფეთქებადი ნივთიერებისა და სასროლო იარაღის დამზადებისა, შენახვისა, ყიდვისა, გასაღებისა და გაგზავნისათვის სანქციის გაძლიერების შესახებ“ მიღებული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წ. მარტის 13-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 61), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 202 და 202¹ მუხლები (სისხლის სამართლის კოდექსი, 1933 წ. გამოცემა) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„202. აფეთქებადი ნივთიერების ან ჭურვის და აგრეთვე სასროლო იარაღის (გარდა სანადიროსი) დამზადება, შენახვა, ყიდვა და გასაღება სათანადო ნებართვის გარეშე გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, აღნიშნული ნივთიერებისა, ჭურვისა და იარაღის კონფისკაციით“.

„202¹. სასროლი იარაღისა (გარდა სანადიროსი), აფეთქებადი და ადვილად ასაალებელი ნივთიერებისა, როგორიც არის დენთი, ვაზნა და სხვა მისთ., გაგზავნა ფოსტით ან სხვა საშუალებით გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, გზავნილის კონფისკაციით.

მწვავე მჟავის და სხვა მწვავე ნივთიერების გაგზავნა ფოსტით—

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ათას მანეთამდე, ფოსტით გზავნილის კონფისკაციით“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ჟოჟიკაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. აპრილის 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 83 №-ში 1933 წ. აპრილის 10.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

146. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ“ გამოცემული 1931 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 24 №-ი, მუხ. 268) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

სიტყვები „202 მუხლის 1-ლი ნაწ.“ შეცვლილ იქნეს სიტყვებად „202[1] მუხლის მე-2 ნაწ.“

ციფრები: „206—211“ შეცვლილ იქნეს ციფრებად: „206—210, 210[1], 211“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ყოფიკაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1933 წ. აპრილის 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 83 №-ში 1933 წ. აპრილის 10.

ფასი 60 კაპ.

მთავლიტი № 321 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 770. ტირაჟი 1.500.